შპს თეგეტა აკადემია
TEGETA ACADEMY LTD

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

№ 0 N O270

01/03/2021

ქ. თბილისი 1 მარტი 2021

ბრძანება N O270
შპს „თეგეტა აკადემიაში“ სასწავლო პროცესის აღდგენის თაობაზე

02.11.2017 წელს დამოწმებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N: A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 24/02/2021 წლის N MES 1 21 0000159323 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შპს „თეგეტა აკადემიაში“ (შემდგომში „აკადემია“), კერძოდ აკადემიის ქ. თბილისის ფილიალში 2021 წლის 1 მარტიდან აღდგეს სასწავლო პროცესი, გარდა საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტისა, რომელიც არადისტანციური რეჟიმით აღდგება 2021 წლის 15 მარტიდან.
2. სასწავლო პროცესი წარიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული რეკომენდაციების შესაბამისად.
3. დაევალოს აკადემიის სასწავლო პროცესის კოორდინატორს ოთარ სიხარულიძეს დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ ფარგლებში შპს „თეგეტა მოტორსთან“ შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება საწარმოს ფარგლებში პრაქტიკული სწავლების აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით.
4. შევიდეს ცვლილება აკადემიის დირექტორის 2019 წლის 29 მარტის N O71 ბრძანებაში და დამტკიცდეს „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის საგაზაფხულო მიღებისთვის სასწავლო პროცესის განხორციელების განახლებული ვადები და მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაამისად.
5. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლისთანავე აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს აღუდგეთ სასწავლო ხელშეკრულებითა და აკადემიის შიდამარეგულირებელი დოკუმენტაციით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, მათ შორის, სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება განახლებული გრაფიკის შესაბამისად, რაც აისახება მათთან ინდივიდუალურად გაფორმებულ სასწავლო ხელშეკრულებაში.
6. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

საქართველო, 0131 ქ.თბილისი
დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №5.
ტელეფონი: +995 32 226 44 46
info@tegetaacademy.ge
www.tegetaacademy.edu.ge

საბანკო რეკვიზიტები:
"TBC-ბანკი"
SWIFT: TBCBGE22
ა/ა GE91TB7543236080100008
მიმღები: შპს "თეგეტა აკადემია"
საიდ/კოდი: 405237122

№5, 12 km, D.Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia.
Tel: +995 32 226 44 46
info@tegetaacademy.ge
www.tegetaacademy.edu.ge

Beneficiary's Bank: TBC BANK
11. Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi. Georgia
SWIFT: TBCBGE22
BEN'S IBAN: GE58TB7543236120100007
NAME OF BENEFICIARY: TEGETA ACADEMY LLC

7. წინამდებარე ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს აკადემიის დირექტორის მოადგილეს ალექსი ჩიბარაშვილს.
8. დაევალოს აკადემიის საქმისწარმოების მენეჯერს თინათინ ბაჯელიძეს წინამდებარე ბრძანების შესაბამისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
ბერუაშვილი ლია